

ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	4-8
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება...	10
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13-32
მმართველობით ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება -----	33-40

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ჯგუფში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს .

დირექტორი

მარიამ ლომიძე

2025 წლის 24 სექტემბერი

მთავარი ბუღალტერი

მაია ქათამაძე

2025 წლის 24 სექტემბერი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ჯგუფში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი

მარიამ ლომიძე

2025 წლის 24 სექტემბერი



მთავარი ბუღალტერი

მაია ქათამაძე

2025 წლის 24 სექტემბერი





დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“-ს („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლით კონსოლიდირებულ მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის აღრიცხული ძირითადი საშუალებების არსებობის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 22 774 816 ლარით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ოდენობის შესახებ. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ძირითად საშუალებებზე, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

არამატერიალური აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად 42 980 500 და 48 390 030 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ დავრწმუნდით არამატერიალური აქტივების სისწორეში დარწმუნება, ვინაიდან ხელმძღვანელობას არ ჩაუტარებია არამატერიალური აქტივების გაუფასურების ანალიზი. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის მიღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისაგან და ფინანსური ისნსტიტუტებისგან. ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით დაკავშირებულ მხარეებიდან მიღებული სესხების ღირებულების სისწორეში ან ასეთ სესხებზე დარიცხული პროცენტი არის თუ არა რეალურად გადასახდელი. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ წლის მოგება/ზარალში აგრეთვე დაკავშირებულ მხარეებისაგან მიღებული სესხების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ჩვენ ასევე ვერ დავრწმუნდით კომპანიის მიღებული სესხების გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებად კლასიფიკაციის სისწორეში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული აქვს სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 15 649 875 ლარის ოდენობით, ჩვენ სრულად ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები 1 399 948 ლარის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებზე, ვერც ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთის სისწორეში. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური



მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული აქვს სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 8531427 ლარის ოდენობით, ჩვენ სრულად ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები 5822201 ლარის სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებზე, ვერც ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთის სისწორეში. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

2025 წლის 19 მარტს ლონდონში მიმდინარე სასამართლო პროცესზე, სადაც მოპასუხეები იყვნენ Stichting Media Finance International-ის ბენეფიციარი მფლობელები ირაკლი რუხაძე, ბენჯამენ მარსონი და იგორ ალექსევი, ინგლისისა და უელსის სასამართლოს უზენაესმა პალატამ ძალაში დატოვა 2023 წლის 21 მარტის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, რომელმაც თავის მხრივ უცვლელად დატოვა 2022 წლის 25 ივლისის განაჩენი, რომელიც მათ მრავალმილიონიანი კომპენსაციების გადახდას აკისრებს კომპანიების Revoker-ისა და Recovery Partners-ის მიმართ. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაციის მოპოვება, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა თუ რა გავლენა ექნებოდა აღნიშნულ სასამართლო დავას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებებში ასახულია შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენი“-ს მიერ შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს 100%-იანი წილის შესყიდვით წარმოქმნილი ვალდებულება. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ვალდებულების სიზუსტეში დასარწმუნებლად და დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს ვალდებულების რეალური ღირებულებით შეფასებაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა არსებულ ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. აგრეთვე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საწესდებო კაპიტალი წარდგენილია 19 825434 ლარით, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება საწესდებო კაპიტალის ღირებულების დადასტურებასთან დაკავშირებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა არსებულ საწესდებო კაპიტალთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისაგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს(ბესს)“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“(IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის შეადგინა 452196323 ლარი და ამ თარიღისათვის ჯგუფის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან მოკლევადიან აქტივებს 77062255 ლარით გადააჭარბა. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა



საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც მოდიფიცირებული (პირობითი) მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 29 ოქტომბერს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სადა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგებ“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობით ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა,



როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით
- გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის



შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით
თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2025 წელი



შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

6.92

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით
თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2025 წელი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

აქტივები	მენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	22 774 816	22 458 449	21 905 393
არამატერიალური აქტივები	5	4 298 050	4 839 003	5 272 791
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 072 866	27 297 451	27 178 184
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	3 180 843	4 418 462	4 346 620
შეზღუდული ფულადი სახსრები		2 430	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	8 531 427	5 493 249	18 793 715
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		2 077 461	1 386 515	1 203 830
მარაგები	8	998 440	69 204	60 888
წინასწარ გადახდილი ხარჯები		49 504	24 380	21 913
საგადასახადო აქტივები		107	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		14 840 212	11 391 810	24 426 966
მთლიანი აქტივები		41 913 078	38 689 261	51 605 150
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	19 825 434	19 825 434	19 825 434
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(452 196 323)	(383 165 966)	(330 154 779)
სულ კაპიტალი:		(432 370 889)	(363 340 533)	(310 329 345)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	382 381 502	323 459 219	217 418 367
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382 381 502	323 459 219	217 418 367
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		8 715 175	7 438 924	77 230 278
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	15 649 875	12 378 902	10 289 692
მიღებული ავანსები		9 086 127	1 840 184	2 845 624
საგადასახადო ვალდებულებები		34 273 455	33 746 016	30 875 449
ვალდებულებები შვილობილის შესყიდვიდან		24 177 834	23 166 548	23 275 085
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		91 902 466	78 570 574	144 516 128
მთლიანი ვალდებულებები		474 283 968	402 029 793	361 934 495
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		41 913 078	38 689 261	51 605 150

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 24 სექტემბერს
დირექტორი მთავარი ბუღალტერი
მარიამ ლომიძე მაია ქათამაძე
2025 წლის 24 სექტემბერი 2025 წლის 24 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	მნიშვნა	ქართულ ლარში		
		31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	22 774 816	22 458 449	21 905 393
არამატერიალური აქტივები	5	4 298 050	4 839 003	5 272 791
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 072 866	27 297 451	27 178 184
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	3 180 843	4 418 462	4 346 620
შეზღუდული ფულადი სახსრები		2 430	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	8 531 427	5 493 249	18 793 715
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		2 077 461	1 386 515	1 203 830
მარაგები	8	998 440	69 204	60 888
წინასწარ გადახდილი ხარჯები		49 504	24 380	21 913
საგადასახადო აქტივები		107	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		14 840 212	11 391 810	24 426 966
მთლიანი აქტივები		41 913 078	38 689 261	51 605 150
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	19 825 434	19 825 434	19 825 434
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(452 196 323)	(383 165 966)	(330 154 779)
სულ კაპიტალი:		(432 370 889)	(363 340 533)	(310 329 345)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	382 381 502	323 459 219	217 418 367
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382 381 502	323 459 219	217 418 367
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	8 715 175	7 438 924	77 230 278
მიღებული ავანსები		15 649 875	12 378 902	10 289 692
საგადასახადო ვალდებულებები		9 086 127	1 840 184	2 845 624
ვალდებულებები შვილობილის შესყიდვიდან		34 273 455	33 746 016	30 875 449
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		24 177 834	23 166 548	23 275 085
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		91 902 466	78 570 574	144 516 128
მთლიანი ვალდებულებები		474 283 968	402 029 793	361 934 495
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		41 913 078	38 689 260	51 605 150

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი

მარიამ ლომიძე

2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მაია ქათამაძე

2025 წლის 24 სექტემბერი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023	2022
შემოსავალი	8	40 487 183	35 191 114	49 314 961
სხვა შემოსავალი	9	664 831	637 436	608 329
სულ შემოსავალი		41 152 013	35 828 550	49 923 290
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		540 921	(54 004)	114 992
პერსონალის ხარჯები	10	(42 833 891)	(35 333 925)	(30 973 118)
სხვა ხარჯები	11	(16 274 392)	(14 465 428)	(18 691 270)
ცვეთა და ამორტიზაცია		(12 025 153)	(12 408 400)	(13 415 384)
მარაგების შესყიდვის ხარჯი, წმინდა		-	(1 794 244)	(1 479 488)
საგადასახადო ვალდებულებებისა პირობების ცვლილებიდან მიღებული ხარჯი		-	-	(8 479 251)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(2 463 398)	(1 989 829)	1 379 733
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(13 519 093)	155 090	31 202 637
მიღებული ხარჯები		-	-	-
საოპერაციო მოგება		(45 422 992)	(30 062 190)	9 582 141
ფინანსური შემოსავალი		(79 851)	274 011	215 251
ფინანსური ხარჯი		(23 527 514)	(21 266 485)	(22 503 088)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(23 607 365)	(20 992 474)	(22 287 837)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(69 030 357)	(51 054 664)	(12 705 696)
მოგების გადასახადი				
სულ წლის სრული ზარალი		(69 030 357)	(51 054 664)	(12 705 696)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი
მარიამ ლომიძე
2025 წლის 24 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მაია ქათამაძე
2025 წლის 24 სექტემბერი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023	2022
შემოსავალი	8	40 487 183	35 191 114	49 314 961
სხვა შემოსავალი	9	664 831	637 436	608 329
სულ შემოსავალი		41 152 013	35 828 550	49 923 290
სხვა არასასაქონლო შემოსავალი		540 921	(54 004)	114 992
პერსონალის ხარჯები	10	(42 833 891)	(35 333 925)	(30 973 118)
სხვა ხარჯები	11	(16 274 392)	(14 465 428)	(18 691 270)
ცვეთა და ამორტიზაცია		(12 025 153)	(12 408 400)	(13 415 384)
მარაგების შესყიდვის ხარჯი, წმინდა		-	(1 794 244)	(1 479 488)
საგადასახადო ვალდებულებებისა პირობების ცვლილებიდან მიღებული ხარჯი		-	-	(8 479 251)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(2 463 398)	(1 989 829)	1 379 733
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(13 519 093)	155 090	31 202 637
მიღებული ხარჯები		-	-	-
საოპერაციო მოგება		(45 422 992)	(30 062 190)	9 582 141
ფინანსური შემოსავალი		(79 851)	274 011	215 251
ფინანსური ხარჯი		(23 527 514)	(21 266 485)	(22 503 088)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(23 607 365)	(20 992 474)	(22 287 837)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(69 030 357)	(51 054 664)	(12 705 696)
მოგების გადასახადი				
სულ წლის სრული ზარალი		(69 030 357)	(51 054 664)	(12 705 696)


გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი

მარიამ ლომიძე

2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

მაია ქათამაძე

2025 წლის 24 სექტემბერი



შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022წლის 01 იანვარი	19 825 434	(315 734 201)	(295 908 767)
წმინდა მოგება		(12 705 696)	(12 705 696)
მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	-	(1 714 882)	(1 714 882)
2022წლის 31 დეკემბერი	19 825 434	(330 154 779)	(310 329 345)
წმინდა მოგება		(51 054 664)	(51 054 664)
მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	-	(1 956 513)	(1 956 513)
2023წლის 31 დეკემბერი	19 825 434	(383 165 966)	(363 340 532)
წმინდა მოგება	-	(69 030 357)	(69 030 357)
2024წლის 31 დეკემბერი	19 825 434	(452 169 323)	(432 370 889)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი

ზაზა გელაშვილი

2025წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

დავით ოტიაშვილი


2025 წლის 24 სექტემბერი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022წლის 01 იანვარი	19 825 434	(315 734 201)	(295 908 767)
წმინდა მოგება		(12 705 696)	(12 705 696)
მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	-	(1 714 882)	(1 714 882)
2022წლის 31 დეკემბერი	19 825 434	(330 154 779)	(310 329 345)
წმინდა მოგება		(51 054 664)	(51 054 664)
მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	-	(1 956 513)	(1 956 513)
2023წლის 31 დეკემბერი	19 825 434	(383 165 966)	(363 340 532)
წმინდა მოგება		(69 030 357)	(69 030 357)
2024წლის 31 დეკემბერი	19 825 434	(452 169 323)	(432 370 889)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი
მარიამ ლომიძე
2025წლის 24 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
მაია ქათამაძე
2025 წლის 24 სექტემბერი



შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
ქართულ ლარში

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	56 634 141	61 779 239	51 107 425
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(68 901 564)	(63 336 931)	(59 889 924)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2 270 730)	(2 344 658)	(1 923 816)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(6 425)	2 861	(2 049)
გადახდილი გადასახადები	(11 148 057)	(11 529 408)	(9 639 661)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(25 693 119)	(15 431 748)	(20 350 335)
საინვესტიციო საქმიანობა			
მიღებული პროცენტი	211 222	274 011	215 251
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	211 222	274 011	215 251
საფინანსო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	24 368 676	15 300 257	22 408 597
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	24 368 676	15 300 257	22 408 597
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(1 113 221)	142 519	2 273 513
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	4 418 462	4 346 620	2 299 028
სავალუტო კურსის ეფექტი	(124 397)	(70 677)	(225 921)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	3 180 843	4 180 620	4 346 620

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი

მარიამ ლომიძე

2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მაია ქათამაძე

2025 წლის 24 სექტემბერი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
ქართულ ლარში

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	56 634 141	61 779 239	51 107 425
მოძღვრებებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(68 901 564)	(63 336 931)	(59 889 924)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2 270 730)	(2 344 658)	(1 923 816)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(6 425)	2 861	(2 049)
გადახდილი გადასახადები	(11 148 057)	(11 529 408)	(9 639 661)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(25 693 119)	(15 431 748)	(20 350 335)
საინვესტიციო საქმიანობა			
მიღებული პროცენტი	211 222	274 011	215 251
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	211 222	274 011	215 251
საფინანსო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	24 368 676	15 300 257	22 408 597
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	24 368 676	15 300 257	22 408 597
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(1 113 221)	142 519	2 273 513
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	4 418 462	4 346 620	2 299 028
სავალუტო კურსის ეფექტი	(124 397)	(70 677)	(225 921)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	3 180 843	4 418 462	4 346 620

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი

მარიამ ლომიძე

2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

მაია ქათამაძე

2025 წლის 24 სექტემბერი



1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ (შემდგომში „ჯგუფი“, ს/კ 204563123) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „ჯგუფი“ დაარსდა 2008 წლის 17 დეკემბერს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ახორციელებს მის მფლობელობაში არსებული კომპანიების მართვას.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპ-ის 100%-იანი მფლობელი არის Media Finance Group B.V., რომლის ბენეფიციარი თანაბარი მესაკუთრეები არიან ირაკლი ოთარ რუხაძე, ბენჯამინ ალბერტ მარსონი და იგორ ალექსეევი და Stichting Media Finance International-ს შორის გაფორმებული ფიდუციური ხელშეკრულების საფუძველზე Media Finance Group B.V.-ის ფიდუციური მფლობელი არის Stichting Media Finance International. Stichting Media Finance International არის ფონდთან გათანაბრებული ეგრეთ წოდებული an orphan entity. კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	წილის ხმის უფლება(%)	
		2024	2023
შპს ტელეიმედი	ტელემაუწყებლობა	100%	100%
შპს რადიო იმედი	რადიომაუწყებლობა	100%	100%
შპს ჯი-დი-ეს თი-ვი	ტელემაუწყებლობა	100%	100%
შპს თაჩ მედია	არააქტიური	100%	100%
შპს იმედი ფილმს	არააქტიური	100%	100%
შპს ტელეკომპანია აისი	არააქტიური	100%	100%
შპს ბადრი პატარკაციშვილის			
ჟურნალისტიკის სკოლა	არააქტიური	100%	100%

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ.3

დასაქმებულთა რაოდენობა. ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 1023 და 952 ადამიანს.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილია ქართულ ლარში (ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიამ მოამზადა ანგარიშგება განსხვავებული კონცეპტუალური საფუძვლების გამოყენებით. კერძოდ, ანგარიშგება მომზადდა, ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისად. კომპანიის ოპერაციების კომპლექსურობის ხარისხის და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიზნებიდან გამომდინარე, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მსს ფასს-ით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება საკმარისი და რელევანტურია.

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლების ცვლილების ეფექტი საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
წარდგენილი კაპიტალი სრული ფასს-ებით მომზადებულ საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში	(364 271 822)	(310 371 473)
აქტივის გამოყენების უფლება	5 178 770	1 725 369
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	56 985	118 277
ფინანსური იჯარის ვალდებულება	(6 167 044)	(1 885 774)
მსს ფასს-ებით მომზადებული საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება	(363 340 533)	(310 329 345)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლების ცვლილების ეფექტი 2023 წლის მოგება ზარალის ანგარიშგებაზე:

მოგება სრული ფასს-ებით მომზადებულ ანგარიშგებაში	(53 900 349)	(14 673 121)
საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის ამოღება	(681 741)	(294 578)
საპროცენტო შემოსავლის კაპიტალიზაციის ამოღება	(26 058)	(57 102)
საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის ამოღება	(23 440)	(27 804)
აქტივის გამოყენების უფლებია ცვეთის ამოღება	(1 297 202)	(1 356 482)
აქტივის გამოყენების უფლებია ცვეთის ამოღება	(71 769)	2 867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(1 989 829)	(1 379 733)
სხვა საოპერაციო ხარჯები	1 244 354	1 145 407
მსს ფასს-ებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შედეგი	(51 054 664)	(12 705 696)

* ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ წარდგენის ცვლილებებით გამოწვეული კორექტირებები და შესაბამისად არ მოიცავს წინა პერიოდების გადაანგარიშების შედეგად ასახულ კორექტირებებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით -ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ჯგუფის მიერ დაგროვილმა წმინდა ზარალმა 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის შეადგინა შესაბამისად 452196323 და 383165966 ლარი, 2024 და 2023 წლების ზარალმა შეადგინა შესაბამისად 69030357 და 51054664 ლარი, ამავე თარიღებისთვის ჯგუფის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან მოკლევადიან აქტივებს შესაბამისად 77062255 და 67178764 ლარით გადააჭარბა. ჯგუფის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია ჯგუფის დაფინანსებაზე, ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე და მოზიდვაზე და შემოსავლების დაგენერირებაზე. ჯგუფის მენეჯმენტი აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით თვლის მართებულად იმიტომ, რომ :

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია ისეთი კომპანიებისგან აღებული სესხების, რომლებიც არიან კომპანიის აქციონერები და მათი ჯგუფის წევრები და მათგან აღებული სესხები ჯამურად შეადგენს 122 961 549 ლარს, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ აღნიშნული კომპანიები მოითხოვენ სესხების დაფარვას ისე, რომ კომპანიას შეუქმნან ლიკვიდურობის პრობლემა;

- მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალში კომპანია შეძლებს საკმარისი დაფინანსების მიღებას, რაც გადაჭრის ლიკვიდობის დეფიციტის პრობლემას და უზრუნველყოფს ოპერაციების დასაფინანსებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკველვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და აქტივებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. პირვანდელი ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ. როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც, ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის რომ შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი იმისათვის, რომ მისცეს მას შესაბამისი უფლებამოსილება, მათ შორის:

- ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი კომპანიის ზომა, სხვა აქციონერების ზომასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლება;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ჯგუფის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება. ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება ჯგუფის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითად საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
სატრანსპორტო საშუალებები და სპეცტექნიკა	10-15 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	5 წელი
კონსტრუქციები და მოწყობილობები	5-7 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი.

არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

„ვიდეოტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფისა“ და „სხვა“ არამატერიალური აქტივების ჯგუფისათვის, ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. ტელესერიალისა და ფილმების გაშვება უფლების ამორტიზაცია ხორციელდება საეთერო სივრცეში განხორციელებული გაშვების მიხედვით. პირველადი გაშვების შედეგად ლიცენზიებისა და უფლების ამორტიზაცია ხდება 70%-ის, ხოლო გამეორების შემთხვევაში 30%-ის ოდენობით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,6894	2,9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.702	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები**თავდაპირველი აღიარება**

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით). თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფი ყველა სხვა ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში, თუ წინამდებარე სტანდარტით არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ღირებულების განსაზღვრა სხვა საფუძველით, მაგალითად თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით.

ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების გაუფასურება დგება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის თავდაპირველად დადებული პირობების მიხედვით გადახდის მიღებას. ამ შემთხვევაში, სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალსო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მემოიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებას ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებას ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს

ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

3. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას სეფასებებთან ერთად იყენებს ასევე

განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

4. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ტექნიკური აპარატურა და დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2022	1 346 201	4 071 867	1 942 878	22 601	25 219 651	21 087 995	2 360 812	4 109 007	60 161 012
შემოსვლა	-	-	137 389	115 236	3 739 527	-	60 857	89 453	4 142 461
გასულის ღირებულება	-	-	(30 665)	-	(58 516)	-	(400)	(25 549)	(115 130)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1 346 201	4 071 867	2 049 601	137 837	28 900 662	21 087 995	2 421 269	4 172 911	64 188 343
შემოსვლა	-	337 520	62 857	2 121	1 331 024	1 703 392	114 724	182 747	3 734 386
გასულის ღირებულება	-	(75 392)	-	-	(175 379)	(262 388)	(8 849)	(149 643)	(671 651)
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია			117 357	(117 357)					-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1 346 201	4 333 995	2 229 816	22 600	30 056 307	22 528 999	2 527 145	4 206 016	67 251 078
შემოსვლა	-	143 237	59 787	-	27 831	1 962 454	144 386	1 241 176	3 578 870
გასულის ღირებულება	-	-	-	-	(440 837)	(83 204)	(1 748)	(238 193)	(763 982)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	1 346 201	4 477 232	2 289 603	22 600	29 643 300	24 408 249	2 669 783	5 208 999	70 065 966
დაგროვილი ცვეთა									
ნაშთი 01 იანვარი 2022	-	1 588 845	709 028	-	21 525 431	11 663 308	1 794 819	2 115 337	39 396 767
წლის დარიცხვა	-	216 698	168 468	-	2 121 681	-	132 861	290 030	2 929 738
გასვლა	-	-	(512)	-	(21 221)	-	(400)	(21 421)	(43 554)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	1 805 543	876 984	-	23 625 891	11 663 308	1 927 280	2 383 946	42 282 951
წლის დარიცხვა	-	228 663	189 718	-	2 212 132	-	108 339	299 772	3 038 624
გასვლა	-	-	-	-	(398 432)	-	(3 399)	(127 116)	(528 946)
შიდა ჯგუფური	-						434	(434)	41 285 820
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	2 034 206	1 066 702	-	25 439 591	11 663 308	2 032 654	2 556 168	44 792 629
წლის დარიცხვა	-	210 611	132 148	-	729 462	1 649 257	118 419	317 102	3 156 998
გასვლა	-	-	-	-	(428 480)	(17 942)	(1 153)	(210 045)	(657 620)
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია			342	-	6 020	-	(7 218)		(857)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	2 244 817	1 199 191	-	25 746 592	13 294 623	2 142 702	2 663 225	47 291 150
წმინდა საბალანსო ღირებულებები									
2022 წლის 31 დეკემბერი	1 346 201	2 266 325	1 172 617	137 837	5 274 771	9 424 687	493 989	1 788 965	21 905 392
2023 წლის 31 დეკემბერი	1 346 201	2 299 789	1 163 114	22 600	4 616 715	10 865 691	494 490	1 649 848	22 458 449
2024 წლის 31 დეკემბერი	1 346 201	2 232 415	1 090 411	22 600	3 896 707	11 113 626	527 081	2 545 774	22 774 816

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**5. არამატერიალური აქტივები**

	ვიდეოტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფა	ტელესერიალებისა და ფილმების გაშვების უფლებები	სხვა	ჯამი
ღირებულება 01 იანვარი 2022	4 911 342	17 914 890	1 530 737	24 356 969
დამატება	1 246 830	6 507 313	3 234	7 757 377
ჩამოწერა	-	(17 149 616)	-	(17 149 616)
ღირებულება 2022 წლის ბოლოს	6 158 172	7 272 587	1 533 970	14 964 730
დამატება	1 812 320	7 123 668	-	8 935 988
ჩამოწერა	(584 692)	(9 871 054)	-	(10 455 746)
ღირებულება 2023 წლის ბოლოს	7 385 801	4 525 201	1 533 970	13 444 972
დამატება	1 045 197	7 873 237	-	8 918 435
ჩამოწერა	-	(7 122 922)	-	(7 122 922)
ღირებულება 2024 წლის ბოლოს	8 430 998	5 275 516	1 533 970	15 240 485
დაგროვილი ამორტიზაცია				
01 იანვარი 2022 წ	2 659 563	13 135 186	596 830	16 391 580
პერიოდის ცვეთა	1 286 069	8 999 194	164 711	10 449 975
ჩამოწერა	-	(17 149 616)	-	(17 149 616)
2022 წლის ბოლოს	3 945 633	4 984 764	761 542	9 691 939
პერიოდის ცვეთა	1 402 251	7 812 430	155 096	9 369 777
ჩამოწერა	(584 692)	(9 871 054)	-	(10 455 746)
2023 წლის ბოლოს	4 763 192	2 926 140	916 638	8 605 970
პერიოდის ცვეთა	1 667 022	178 275	155 551	2 000 849
ჩამოწერა	-	335 617	-	335 617
2024 წლის ბოლოს	6 430 214	3 440 032	1 072 189	10 942 435
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის ბოლოს	2 212 540	2 287 823	772 429	5 272 791
2023 წლის ბოლოს	2 622 609	1 599 061	617 332	4 839 002
2024 წლის ბოლოს	2 000 784	1 835 484	461 782	4 298 050

6. ფული და ფულის ეკვივალენტი

ლარში	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	263 444	346 899	550 438
ფული საბანკო ანგარიშებზე	2 917 399	4 071 563	3 796 182
ს უ ლ:	3 180 843	4 418 462	4 346 620

ფულისა და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	25 586 026	25 956 370	41 105 597
საექვო ვალების რეზერვი	(17 054 778)	(20 516 194)	(22 398 140)
სხვა მოთხოვნები	179	53 072	86 258
ს უ ლ:	8 531 427	5 493 248	18 793 715

ყველა მოთხოვნა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან გონივრულად მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები შესადარის პერიოდებში განხილულია გაუფასურების მაჩვენებლებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის საექვო ვალების ზარალის რეზერვის საბოლოო ნაშთი შეჯერებულია საექვო ვალების ზარალის რეზერვის საწყის ნაშთთან შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ზარალის რეზერვი 1 იანვრისათვის	20 516 194	22 398 140	28 027 346
წლის განმავლობაში აღიარებული	(3 461 416)	(1 881 946)	(5 629 206)
ს უ ლ:	17 054 778	20 516 194	22 398 140

8. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
გადაცემათა დეკორაციები	919996	31670	31335
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	78443	37534	29554
ს უ ლ:	998439	69204	60 888

9. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპ-ის 100%-იანი მფლობელი არის Media Finance Group B.V., რომლის ბენეფიციარი თანაბარი მესაკუთრეები არიან ირაკლი ოთარ რუხაძე, ბენჯამინ ალბერტ მარსონი და იგორ ალექსევი და Stichting Media Finance International-ს შორის გაფორმებული ფიდუციური ხელშეკრულების საფუძველზე Media Finance Group B.V.-ის ფიდუციური მფლობელი არის Stichting Media Finance International. Stichting Media Finance International არის ფონდთან გათანაბრებული ეგრედ წოდებული an orphan entity.

10. გრძელვადიანი სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
დაკავშირებული მხარეებისა და სხვა იურიდიული პრებისგან მიღებული სესხები	337 500 471	274 286 298	242 915 467
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	53 596 207	56 611 845	51 728 762
ს უ ლ :	391 096 677	330 898 143	294 4 229

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სესხები მიღებულია დაკავშირებული მხარეებისაგან წლიური საპროცენტო განაკვეთით 8-11%, ხოლო ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულია სესხები წლიური საპროცენტო განაკვეთით 9-12%.

ქვემოთ მოცემულია სესხის ანალიზი და ვალდებულებების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან შესაბამისი პერიოდისათვის:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საწყისი ნაშთი	330 898 143	294 644 229	282 034 803
საპროცენტო ხარჯი	23 527 514	21 266 483	12 765 866
მიღებული სესხი	24 368 676	15 300 257	28 366 862
ხანდაზმული სესხის ჩამოწერა	(121 119)	-	-
გადაფასების ეფექტი	12 423 464	(312 826)	(28 523 302)
სულ მიღებული სესხი	391 096 677	330 898 143	294 644 229

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2024 და 2023 წლის და 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები	15 528 386	12 207 964	10 217 901
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	121 489	170 938	71 791
სულ:	15 649 875	12 378 902	10 289 692

12. შემოსავლები

შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სიგნალის გავრცელების მომსახურება	73 851	34 980	62 591
სმს მომსახურება და ინტერაქტივი	55 286	93 834	66 972
ჩვენების უფლების გადაცემა	-	-	22 727 699
სხვა	116 449	13 735	13 936
სარეკლამო მომსახურება	39 982 874	34 856 669	26 298 813
არარეზიდენტზე გაწეული მომსახურება	5 554	2 170	5 790
სატელევიზიო	79 237	76 526	90 660
სხვა შემოსავალი	88 942	28 961	6 890
კოსტუმების და რეკვიზიტების იჯარა	11 432	23 687	28 726
საიჯარო შემოსავლები	73 557	60 554	12 884
ჯამი	40 487 183	35 191 114	49 314 961

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**13. სხვა შემოსავალი**

სხვა შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აპარატურის იჯარა	87 006	123 527	70 095
ქვეიჯარა	547 687	510 480	514 677
მანქანის იჯარა	921	-	(678)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	29 218	3 428	24 235
ს უ ლ:	664 831	637 436	608 329

14. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
პირდაპირი ხელფასი	33 585 792	27 136 831	23 450 032
დაზღვევა თანამშრომლების	730 973	688 416	413 358
რემონტის დანახარჯები	4 126	698	920
შრომის ანაზღაურება	7 809 216	6 936 521	6 611 445
მივლინების ხარჯი	2 861	-	1 860
დაზღვევა თანამშრომლების			
ოფისის ხარჯი	827	2 619	1 772
კომპიუტერის ხარჯები	981	985	641
საპენსიო გადასახადი	699 114	567 856	493 089
ს უ ლ:	42 833 891	35 333 925	30 973 118

15. სხვა ხარჯები

მიწოდების და მომსახურების ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ტელეგადაცემის წარმოება	2 800 056	2 320 324	5 784 849
საგადასახადო ხარჯი	243 687	3 330 628	3 526 921
პროფესიული მომსახურება	3 393 927	2 585 655	3 524 767
მივლინების ხარჯები	1 534 128	1 837 615	1 255 979
მაუწყებლობის ხარჯი	877 825	1 644 601	1 486 306
კომუნალური ხარჯები	840 201	909 962	931 792
კომუნიკაციის ხარჯები	505 168	500 873	554 734
ლიცენზიის ხარჯები	10 347	363 006	437 764
საიჯარო ხარჯები	2 057 942	378 774	493 283
რეკლამის ხარჯები	1 009 444	141 592	43 766
წარმომადგენლობითი ხარჯები	132 993	34 014	137 594
საბანკო ხარჯები	13 696	14 467	10 825
სხვა	2 854 977	403 917	502 690
	16 274 392	14 465 428	18 691 270

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორცეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

	მფლობელები	საერთო მფლობელობის ქვემ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	19 430	8 796 839
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7 840 021	3 058 353	
მიღებული სესხები	-	147 049 872	176 993 231
მიღებული ავანსები	-	700 000	-

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვემ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან				
სხვა შემოსავალი	-	-	310 664	254 237
შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ხარჯები	-	1 040 553	-	-
მაუწყებლობის და რეკლამის ხარჯები	-	-	2 378 499	298 272
იჯარის ხარჯი	1 651 525	-	25 604	-
ფინანსური ხარჯი	-	-	8 383 436	10 204 161

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

	მფლობელები	საერთო მფლობელობის ქვემ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	82 715	12 862 877
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6 953 373	3 032 247	
მიღებული სესხები	-	142 664 905	131 621 393
მიღებული ავანსები	-	702 848	-

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვემ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან				
სხვა შემოსავალი	-	-	514 884	373 941
შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ხარჯები	-	1 070 058	-	-
მაუწყებლობის და რეკლამის ხარჯები	-	-	5 297	292 985
იჯარის ხარჯი	1 651 525	-	-	25 424
ფინანსური ხარჯი	-	-	8 272 357	8 088 539

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:	მფლობელები	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	287 097	13 594 491	20 361
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8 068 254	1 838 135	-
მიღებული სესხები	-	135 070 312	107 845 155
მიღებული ავანსები	-	700 000	-

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სხვა შემოსავალი	-	-	451 338	352 288
შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ხარჯები	-	1 077 413	-	-
მაუწყებლობის და რეკლამის ხარჯები	-	-	24 788	325 038
იჯარის ხარჯი	1 651 525	-	-	17 929
ფინანსური ხარჯი	-	-	8 896 770	7 254 273

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3 180 843	4 418 462	4 346 620
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8531427	5493249	18 793 715
გაცემული სესხები			
სულ ფინანსური აქტივები	11 712 270	9 911 711	23 140 334
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სესხები	391096677	330898143	294644229
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15649875	12378902	10289692
სულ ფინანსური ვალდებულებები	406 746 552	343 277 045	304 938 337

გ) რისკების მართვის სტრუქტურა კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5	წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	3 180 843			-	3 180 843
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8 531 427	-		-	8 531 427
აქტივები	11 712 270	-		-	11 712 270
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15 649 875				15 649 875
მიღებული სესხები		391 096 677			391 096 677
ვალდებულებები	15 649 875	391 096 677		-	406 746 552
ლიკვიდურობის პოზიცია	(3 937 605)	(391 096 677)		-	(395 034 282)

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5	წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	4 418 462			-	4 418 462
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5 493 249	-		-	5 493 249
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები		-			-
აქტივები	9911711	-		-	9911711
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12 378 902				12 378 902
მიღებული სესხები		330 898 143			330 898 143
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები	-				-
ვალდებულებები	12 378 902	330 898 143		-	343 277 045
ლიკვიდურობის პოზიცია	(2 467 191)	(330 898 143)		-	(333 365 334)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე,

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისათვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31 დეკემბერი 2024 წელი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი	ლარი/აშშ დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	+20%	-20%	+20%	-20%
მოგება/ზარალი	(59 360 201)	59 360 201	(593 599)	593 599

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

18. იჯარები

„მსს ფასს“-ს თანახმად იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

(ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

(გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

(დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

(ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირების შედეგად მიღებული თანხა არ წარმოადგენს ობიექტის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას. ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები აღიარებულია საოპერაციო ხარჯად.

19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20. სასამართლო პროცესები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული, მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლოა ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.

ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
მმართველობითი ანგარიშგება და 2024 წლის საქმიანობის
მიმოხილვა

ჩვენ შესახებ

შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ (შემდგომში „კომპანია“ ს/კ 204563123) დაფუძნდა 2008 წელს და წარმოადგენს კომპანიას, რომლის მფლობელობაში შემავალი შვილობილი კომპანიები ახორციელებენ ტელე და რადიო მაუწყებლობას, საქართველოს ტერიტორიაზე. შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ახორციელებს მისი შვილობილი კომპანიების მართვას. შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს და მართავს გენერალური დირექტორი. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	წილის ხმის უფლება(%)	
		2024	2023
შპს ტელეიმედი	ტელემაუწყებლობა	100%	100%
შპს რადიო იმედი	რადიომაუწყებლობა	100%	100%
შპს ჯი-დი-ეს თი-ვი	ტელემაუწყებლობა	100%	100%
შპს თაჩ მედია	არააქტიური	100%	100%
შპს იმედი ფილმს	არააქტიური	100%	100%
შპს ტელეკომპანია აისი	არააქტიური	100%	100%
შპს ბადრი პატარკაციშვილის ჟურნალისტიკის სკოლა	არააქტიური	100%	100%

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“-ის 100%-იანი მფლობელი არის Media Finance Group B.V., რომლის ბენეფიციარი თანაბარი მესაკუთრეები არიან ირაკლი ოთარ რუხაძე, ბენჯამინ ალბერტ მარსონი და იგორ ალექსეივი და Stichting Media Finance International-ს შორის გაფორმებული ფიდუციური ხელშეკრულების საფუძველზე Media Finance Group B.V.-ის ფიდუციური მფლობელი არის Stichting Media Finance International. Stichting Media Finance International არის ფონდთან გათანაბრებული ეგრეთ წოდებული an orphan entity.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ.3

დასაქმებულთა რაოდენობა. ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 1023 და 952 ადამიანს.

ჩვენი საქმიანობა

შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ წარმოადგენს კომპანიას, რომლის მფლობელობაში შემავალი შვილობილი კომპანიები ახორციელებენ ტელე და რადიო მაუწყებლობას საქართველოს ტერიტორიაზე. შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ახორციელებს მისი შვილობილი კომპანიების მართვას.

ტელეკომპანია "ტელეიმედი" 2001 წელს დაარსდა და მაუწყებლობს 2003 წლის 15 მარტიდან. დღეისათვის "იმედი" საქართველოს სატელევიზიო სივრცის ლიდერად ჩამოყალიბდა და მაყურებლის ნდობითა და დიდი ინტერესით სარგებლობს.

შპს "ტელეიმედი", უახლესი თაობის ტექნიკური აღჭურვილობის მეშვეობით საქართველოს ტერიტორიას მაღალი ხარისხის სატელევიზიო სიგნალით უზრუნველყოფს. ოპერატიულად და ობიექტურად გაშუქებულ ახალ ამბებს მაყურებელი მთელი დღის განმავლობაში ეცნობა.

პირველად ქართულ ტელესივრცეში, სწორედ "ტელეიმედმა" დაიწყო ლიცენზირებული პროდუქციის ჩვენება.

კომპანია მაყურებელს სთავაზობს მსოფლიოში პოპულარული სატელევიზიო ფორმატების ადაპტირებულ ვერსიებს, ქართულ და საზღვარგარეთულ მხატვრულ ფილმებს, ტელესერიალებს, დოკუმენტურ და ანიმაციურ ფილმებს. ასევე, სთავაზობს მაყურებელს მსოფლიო მნიშვნელობის კინო, მუსიკალური და სხვა სახის დაჯილდოების ცერემონიების პირდაპირ ეთერში ტრანსლაციას.

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი

მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის შედეგების მიხედვით

ითვალისწინებს რა დღევანდელი მითხოვნის, მოვლენების დინამიკურ განვითარებასა და საზოგადოების დაკვეთას, "ტელეიმედი" მუდმივი განახლებისა და ძიების პროცესშია.

კომპანიის მიზანია წარმოდგენილი პროდუქციის მაღალი ხარისხი, მომწოდებლებთან და კლიენტებთან თვისობრივად ახალი ურთიერთობების დამყარება, საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიაზე ტელესიგნალის გავრცელება და რაც შეიძლება ფართო აუდიტორიის დაინტერესება.

ტელეკომპანიის ტექნიკურ ხარისხს უზრუნველყოფს თანამედროვე სატელევიზიო ტექნოლოგიები. მაუწყებლობას უზრუნველყოფს გერმანული ავტომატიზაციის სისტემა "Sinergy". მაუწყებლობის გავრცელებას უზრუნველყოფს კომპანია შპს სტერეო+, შპს Claud 9 (სტრიმინგი) ასევე საკაბელო, სატელიტური კომპანიები.

იმედი უარს აცხადებს არალიცენზირებული პროდუქციის ტელე-ეთერში გაშვებაზე. იმედის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ტელეკომპანიის სამომავლო ინტერესებისათვის აუცილებელია წამყვან ვიდეო, მუსიკალურ და კინო პროდუქციის მომწოდებლებთან სამართლებრივი ურთიერთობების დამყარება.

შპს „რადიო იმედი“ სამაუწყებლო კომპანიაა, რომელიც ტელეკომპანია იმედთან ერთად ერთ სამაუწყებლო კონცერნს შეადგენს და მაუწყებლობს FM სიხშირის ტალღაზე. ჩვენი მოსმენა შეგიძლიათ:

FM 105.9 თბილისი

FM 101.3 ახალქალაქი

FM 101.5 ახალციხე

FM 100.1 ბათუმი

FM 105.5 ბაკურიანი

FM 105.5 ბორჯომი

FM 99.9 გორი

FM 100.5 გუდაური

FM 100.3 გურჯაანი

FM 104.7 დედოფლისწყარო

FM 105.1 დმანისი

FM 104.1 ზუგდიდი

FM 100.9 ზესტაფონი

FM 100.3 თელავი

FM 100.7 მარტვილი

FM 107.9 მესტია

FM 100,9 სამტრედია

FM 100.1 სტეფანწმინდა

FM 103.7 ფასანაური

FM 100.7 ფოთი

FM 100.9 ქუთაისი

FM 104.1 ჭიათურა

FM 99.9 ხაშური

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის შედეგების მიხედვით

შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ამჟამად მაუწყებლობს შემეცნებით-გასართობი კონტენტით საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ. ასევე ფლობს აქტივებს, კერძოდ სატელევიზიო ტექნიკას, ოფისის აღჭურვილობას და ა.შ. რომელთა გაქირავებით იღებს დამატებით შემოსავალს.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს ჯგუფმა მიიღო 40487183 ლარის შემოსავალი, ხოლო 2023 წელს 35191114 ლარის შემოსავალი. შემოსავლის შემცირება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მთავარი მიზანია პროდუქციის მაღალი ხარისხი, მომწოდებლებთან და კლიენტებთან თვისობრივად ახალი ურთიერთობების დამყარება, საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიაზე ტელესიგნალის გავრცელება და რაც შეიძლება ფართო აუდიტორიის დაინტერესება. ამ მიზნიდან გამომდინარე, მოკლევადიან პერსპექტივაში, ჩვენი მთავარი ამოცანა არ არის ფინანსური მომგებიანობა ან მაღალი ლიკვიდურობა. შესაბამისად ჩვენი ფინანსური მაჩვენებლები 2024 და 2023 წლების ბოლოსათვის, მართალია, უარყოფითია, მაგრამ მაუწყებლობის ხარისხის და გავრცელების დონესთან შედარებით, ამ ეტაპზე, აღნიშნული ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ჯგუფის 2024 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

ფინანსურ-ეკონომიკური საკმანდოების მაჩვენებლები	2024	2023	% ცვლილებები
შემოსავალი	40 487 183	35 191 114	15%
სხვა შემოსავალი	664 831	637 436	4%
სულ შემოსავალი	41 152 013	35 828 550	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	540 921	(54 004)	0%
პერსონალის ხარჯები	(42 833 891)	(35 333 925)	21%
სხვა ხარჯები	(16 274 392)	(14 465 428)	13%
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	
ცვეთა და ამორტიზაცია	(12 025 153)	(12 408 400)	-3%
მარაგების შესყიდვის ხარჯი, წმინდა	-	(1 794 244)	-100%
საგადასახადო ვალდებულებებისა პირობების ცვლილებიდან მიღებული ხარჯი	-	-	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(2 463 398)	(1 989 829)	19.2%
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(13 519 093)	155 090	-8817%
მიღებული ხარჯები	-	-	
საოპერაციო მოგება	(45 422 992)	(30 062 190)	
ფინანსური შემოსავალი	(79 851)	274 011	-129%
ფინანსური ხარჯი	(23 527 514)	(21 266 485)	11%
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(23 607 365)	(20 992 474)	
ზარალი მოგების გადასახადამდე	(69 030 357)	(51 054 664)	
მოგების გადასახადი			
სულ წლის სრული ზარალი	(69 030 357)	(51 054 664)	-35.2%

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის შედეგების მიხედვით

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2024	31.12.2023	% ცვლილებები
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	22 774 816	22 458 449	
არამატერიალური აქტივები	4 298 050	4 839 003	
სულ გრძელვადიანი აქტივები	27 072 866	27 297 451	-0.82%
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3 180 843	4 418 462	
შეზღუდული ფულადი სახსრები	2 430	-	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8 531 427	5 493 249	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2 077 461	1 386 515	
მარაგები	998 440	69 204	
წინასწარ გადახდილი ხარჯები	49 504	24 380	
საგადასახადო აქტივები	107	-	
სულ მოკლევადიანი აქტივები	14 840 212	11 391 810	30.27%
მთლიანი აქტივები	41 913 078	38 689 261	8.35%
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19 825 434	19 825 434	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(452 196 323)	(383 165 966)	
სულ კაპიტალი:	(432 370 889)	(363 340 533)	19.13%
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	382 381 502	323 459 219	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	382 381 502	323 459 219	18.22%
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8 715 175	7 438 924	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15 649 875	12 378 902	
მიღებული ავანსები	9 086 127	1 840 184	
საგადასახადო ვალდებულებები	34 273 455	33 746 016	
ვალდებულებები შვილობილის შესყიდვიდან	24 177 834	23 166 548	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	91 902 466	78 570 574	9.35%
მთლიანი ვალდებულებები	474 283 968	402 029 793	17.97%
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	41 913 078	38 689 260	-7.14%

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ჯგუფის მიერ დაგროვილმა წმინდა ზარალმა 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის შეადგინა შესაბამისად 452196323 და 383165966 ლარი, 2024 და 2023 წლების ზარალმა შეადგინა შესაბამისად 69030357 და 51054664 ლარი, ამავე თარიღებისთვის ჯგუფის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს შესაბამისად 77062255 და 67178764 ლარით გადააჭარბა. ჯგუფის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის შედეგების მიხედვით

ჯგუფის დაფინანსებაზე, ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე და მოზიდვაზე და შემოსავლების დაგენერირებაზე. ჯგუფის მენეჯმენტი აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადებდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით თვლის მართებულად იმიტომ, რომ :

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია ისეთი კომპანიებისგან აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილით, რომლებიც არიან ჯგუფის აქციონერები და მათი ჯგუფის წევრები და მათგან აღებული სესხები ჯამურად შეადგენს 122961549 ლარს, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ აღნიშნული კომპანიები მოითხოვენ სესხების დაფარვას ისე, რომ ჯგუფს შეუქმნან ლიკვიდურობის პრობლემა;
- მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალში ჯგუფი შეძლებს საკმარისი დაფინანსების მიღებას, რაც გადაჭრის ლიკვიდობის დეფიციტის პრობლემას და უზრუნველყოფს ოპერაციების დასაფინანსებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 7)	8531427	5493249	18793715
ფული და ფულის ეკვივალენტები(შენიშვნა 6)	3180843	4418462	4346620
სულ საკრედიტო რისკი	11712270	9911711	23140334

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი

მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის შედეგების მიხედვით

ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება. როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის “მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები”, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც “კაპიტალი”, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სულ სესხები (შენიშვნა 10,11)	391096677	330898143	294648645
ფული და ფულის ეკვივალენტები(შენიშვნა 6)	(3180843)	(4418642)	(4346620)
სულ საკრედიტო რისკი	387915834	326479681	290302025

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი სრულად დაფინანსებულია მიღებული სესხებით.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

საოპერაციო გარემო. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ ეტაპზე ამ და შემდგომი მოვლენების გავლენა კომპანიის სამომავლო ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ძნელად პროგნოზირებადია. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

მარიამ ლომიძე

დირექტორი

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი

მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის შედეგების მიხედვით

ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება. როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სულ სესხები (შენიშვნა 10,11)	391096677	330898143	294648645
ფული და ფულის ეკვივალენტები(შენიშვნა 6)	(3180843)	(4418642)	(4346620)
სულ საკრედიტო რისკი	387915834	326479681	290302025

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი სრულად დაფინანსებულია მიღებული სესხებით.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაუერთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

საოპერაციო გარემო. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ ეტაპზე ამ და შემდგომი მოვლენების გავლენა კომპანიის სამომავლო ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ძნელად პროგნოზირებადია. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

მარიამ ლომიძე

დირექტორი





დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „ჯორჯიან პროდაქშენ გრუპი“-ს მფლობელებს და დირექტორებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში-„საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მასამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დისკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელობასა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით. მმართველობისა და ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ ჯგუფი ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმოხილვის საფუძველზე:

- ❖ ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 2025 წლის 22 სექტემბერს გამოცემული აუდიტის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხებისა.
- ❖ ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

შპს „ბესტ აუდიტი“-ს სახელით
გარიგების პარტნიორი: ნუნუ ფაცაცია
2025 წლის 24 სექტემბერი



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე
შპს „ჯორჯიან პროდაქშენ გრუპი“-ს მფლობელებს და დირექტორებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში-„საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მასამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრით ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დსკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელობასა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით. მმართველობისა და ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ ჯგუფი ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმოხილვის საფუძველზე:

- ❖ ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრითი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 2025 წლის 22 სექტემბრის გამოცემული აუდიტის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის ამახადი ასახული საკითხებისა.
- ❖ ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ზ“ და „დ“- „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

შპს „ბესტ აუდიტი“-ს სახელით
გარიგების პარტნიორი: ნუნუ ფაცაცია
2025 წლის 24 სექტემბერი